საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990117303243723

№17/1406 **16 / მაისი / 2023 წ.**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის
სამსახურის უფროსს, ბატონ ირაკლი
ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 15 მაისის N6/25922 კორესპონდენცია, რომელიც ეხება დაბა ლენტეხში, სტალინის ქუჩაზე მდებარე 417.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 87.04.23.411) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - "კოშკი“ (გის #17242) (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30/03/2006 #3/133 ბრძანება) ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდეს დაბა ლენტეხში, სტალინის ქუჩაზე მდებარე 417.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 87.04.23.411) პრივატიზება. ამასთან დაცული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული რეჟიმი. ხოლო უძრავი ქონების შემდგომში განვითარების, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი